ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №112

2021 წ.1 ივნისი. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

სხდომა ჩატარდა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის კომისიასთან ერთად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - დავით უთმელიძე.

კომისიის წევრები: ოთარ გრიგოლია, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან დარახველიძე, ვაჟა ოთარაშვილი, ბორია ფირცხელიანი.
სხდომას ასევე ესწრებოდა:

საფინანსო საქალაქო სამსახურიდან- სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან- სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე, მარიამ კვერნაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა დავით უთმელიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევერებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე. (28.05.2021; №12-032114895-03)

2.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.(11-0121144227; 11-01211473936; 11-01211483256)

3.ქალაქ თბილისის2021 წლის ბიუჯეტის 3 თის შესრულების შესახებ- ინფორმაცია
4.„ქ. თბილისში, სომხეთის ჩიხი N10-ის მიმდებარედ, ნაკვეთი 39/002, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.17.07.039.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1 827 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასათვის" (ს/ნ: 245599990) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე. (N12-032114033-03)
5.„ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა თამარ მეფე, ჩიხი II, კორპუსი 10-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.052.057) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ. (29.04.2021; N12-032114547-03)

6."ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი Ш, კორპუსი 5-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.006.05.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ. (20.05.2021; N12-032114031-03)

7. "ქალაქ თბილისში, ქუჩა ყვარლის, N104; N106; N108 (უბანი N6)-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.022.005.03.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ. (25.05.2021; 12-032114547-03)

8."ქალაქ თბილისში, ქუჩა მინდელი, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.075.01.533) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახე(25.05.2021; N12-032114547-03)

9. ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი, ვასაძის ქუჩაზე არსებული 44 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.11.12.018.107) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კა-ემ-სისთვის" (ს/ნ:405423590) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ. (17.05.2021; N12-032113726-03)

10. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა 32-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24,007,441; 01,19,24.007.442; 01,19,24.007.443) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ. (31,05.2021; N12-03211512-03)

11. „ქალაქ თბილისში, თენგიზ სტურუას ქუჩა 36-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.006.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ. (31,05.2021; N12-03211512-03)

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 11 მარტის პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-297-15-17432 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე (საკრებულოს №12-032110938-03 19.04.2021)

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 1333 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.01.19.422) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03210703-03 11.03.2021)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, რომ წარმოდგენილი დღის წესრიგის რიგით 10-ე საკითხი, ვინაიდან არ არის წარმოდგენილი სრულყოფილი დოკუმენტაცია , ამოეღოთ დღის წესრიგიდან და საკითხის განხილვა მოხდეს დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი რედაქციით:

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე. (28.05.2021; №12-032114895-03)

2.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.(11-0121144227; 11-01211473936; 11-01211483256)

3.ქალაქ თბილისის2021 წლის ბიუჯეტის 3 თის შესრულების შესახებ- ინფორმაცია

4.„ქ. თბილისში, სომხეთის ჩიხი N10-ის მიმდებარედ, ნაკვეთი 39/002, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.17.07.039.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1 827 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასათვის" (ს/ნ: 245599990) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე. (N12-032114033-03)

5.„ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა თამარ მეფე, ჩიხი II, კორპუსი 10-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.052.057) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ. (29.04.2021; N12-032114547-03)

6."ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი Ш, კორპუსი 5-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.006.05.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ. (20.05.2021; N12-032114031-03)

7. "ქალაქ თბილისში, ქუჩა ყვარლის, N104; N106; N108 (უბანი N6)-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.022.005.03.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ. (25.05.2021; 12-032114547-03)

8."ქალაქ თბილისში, ქუჩა მინდელი, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.075.01.533) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახე(25.05.2021; N12-032114547-03)

9. ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი, ვასაძის ქუჩაზე არსებული 44 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.11.12.018.107) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კა-ემ-სისთვის" (ს/ნ:405423590) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ. (17.05.2021; N12-032113726-03)

10. „ქალაქ თბილისში, თენგიზ სტურუას ქუჩა 36-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.006.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ. (31,05.2021; N12-03211512-03)

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 11 მარტის პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-297-15-17432 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე (საკრებულოს №12-032110938-03 19.04.2021)

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 1333 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.01.19.422) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03210703-03 11.03.2021)

მოისმინეს: ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.

ბიუჯეტის ცვლილებები კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.

მისი განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს მისაღები შემოსავლების პროგნოზების გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება გრანტების ნაწილში საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 216,5 ათასი ლარით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის 2021 წლის 27 მაისის N80-01211471766 წერილის საფუძველზე, 2019 წლის 9 დეკემბერს საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულება N6024-GEO ფარგლებში, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის" განხორციელებისთვის, ინდივიდუალური კონსულტანტების შრომის ანაზღაურების (გადასახადების გარეშე) დაფარვა დონორი ორგანიზაციის მიერ). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 216,5 ათასი ლარით და შეადგენს 1 191 526,8 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები. აღნიშნულისა და დამატებითი რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნება – 1 000,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) ქვეპროგრამის ასიგნება – 466,1 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 13) – 350,0 ათასი ლარი, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნება - 216,5 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) ქვეპროგრამის ასიგნება – 200,0 ათასი ლარი, ისნის რაიონის გამგეობა (კოდი 10 33) პროგრამის ასიგნება – 100,0 ათასი ლარი.

მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 11) ქვეპროგრამის ასიგნება – 67,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) – 343,2 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) - 450,0 ათასი ლარი, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 20 03) – 200,0 ათასი ლარი, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 1 000,0 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 08 11 06) – 55,9 ათასი ლარი.

ასევე, დაზუსტდა საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა, გაიზარდა 56 ერთეულით და შეადგენს 302 ერთეულს.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: .ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

კვარტალური ცვლილებები კომისიის წევრებს წარუდგინა ლევან მიქავამ.

ლევან მიქავას განმარტებით წარმოდგენილია გამწვანებისა და ინფრასრუქტურის საქალაქო სამსახურებისათვის მიკუთვნებულ პროგრამებში ასიგნებების ცვლილება, კერძოდ : მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გამწვანებული ტერიტორიების (სკვერების) აღდგენა მოწყობისათვის პროგრამის „გამწვანების ღონისძიებები" არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი იზრდება 4 595 000 ლარით, „საქონელი და მომსახურების „ მუხლის შესაბამისად შემცირებით.

თბილისის მასშტაბით ორმოული და პერიოდული შეკეთების სამუშაოების ასანაძრაურებლად პროგრამაში „გზების მშენებლობა და აღგება" მეორე კვარტლის გეგმა იზრდება 1 221 800 ლარით, მომდევნო კვარტლების შემცირების ხარჯზე. ასევე გარე განათების ქსელისა და შენობების არქიტექტურულ მხატვრული მინათების ქსელის ექსპლუატაციის მომსახურების ანაზღაურებისათვის შესაბამისი პროგრამის მეორე კვარტლის გეგმა იზრდება 4 000 000 ლარით. თანხების შემცირება ხდება მეოთხე კვარტალში.

ასევე წარმოდგენილია რაიონული გამგეობების მოთხოვნილი კვარტალური ცვლიებები.

ნაძალადევის რაიონში იზრდება წლიურ გეგმებში „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებების" პროგრამა 138 860,43 ლარით, პროგრამის „უფასო სასადილოებით მომსახურება" შესაბამისად შემცირებით.

ჩუღურეთის რაიონში იზრდება მეორე კვარტლის გეგმები შემდეგ პროგრამებში: „კეთილმწყობის ღონისძიებები“- საერთო ჯამში 303 600 ლარით, მცირდება მეორე კვარტალში პროგრამის „გზების მოვლა შეკეთება“ასიგნებები -150 000 ლარით, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა“ 150 000 ლარით, „უფასო სასადილოებით მომსახურება“ – 25400 ლარით და „კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები“ 25 000 ლარით.

საბურთალოს რაიონში იზრდება მეორე კვარტლის გეგმა პროგრამაში „გზების მოვლა-შეკეთება“ 500 000 ლარით, „კეთილმოწყობის ღონისძიებები“ -30 000 ლარით, მომდევნო კვარტლის გეგმის შესაბამისად შემცირებით.

მთაწმინდის რაიონში იზრდება „კეთილმოწყობის ღონისძიებები“ 100 000 ლარით და „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები - 100 000 ლარით.

გარდა ამისა წარმოდგენილია ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა საქალაქო სამსახურის კვრატალური ცვლილება მისთვის მიკუთვნებულ პროგრამებში ჯამში 705 000 ლარზე და წლიური ცვლილება 12 000 ლარზე.

ლევან მიქავამ დაწვრილებით განმარტა ყველა ზემოაღნიშნული ცვლილებების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე- 8

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის, ჩუღურეთის, საბურთალოს და მთაწმინდის რაიონის გამგეობები, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების, ინფტრასტრუქტურის განვითარების, გარემოს დაცვის და ეკონიმიკური განვითარების საქალაქო სამსახურები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო **კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:**

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის me-2 მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.**

მოისმინეს გაიოზ თალაკვაძის ინფორმაცია: ქალაქ თბილისის2021 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების შესახებ“

მან აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტალის შესრულების მიმოხილვა მომზადებულია საქალაქო სამსახურებიდან, რაიონული გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერის, სარეზერვო და წინა წლებში

წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

2021 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 70,353.2 ათასი ლარი. 3 თვეში ნაშთის ცვლილების სახით ბიუჯეტში ასახულ იქნა 56,672.2 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების გამოყენებამ შეადგინა 5,074.3 ათასი ლარი.

შემოსულობები
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 3 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 202,243.9 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 183,356.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 90.7%. მათ შორის:

შემოსავლები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 3 თვის გეგმა 196,420.7 ათასი ლარი, ფაქტიურად 160,379.5 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 81.7% და მთლიანი - შემოსულობების 87.5% შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 111,036.1 ათასი ლარი (გეგმის 94.2%), გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 19,766.2 ათასი ლარი (გეგმის 43,3%), ხოლო სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 29,577.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 32,891.9 ათასი ლარის 89.9%-ია.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 22,975.8 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 1,097.6 ათასი ლარი, მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 39.4 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 21,838.8 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა საანგარიშო პერიოდში განსაზღვრულია 23.2 ათასი ლარით.

ვალდებულებების ზრდის სახით საანგარიშო პერიოდში ასახულ იქნა - 1.1 ათასი ლარი (შემოსულობა საშინაო სხვა კრედიტორული დავალიანებების სახაზინო კოდზე ჩარიცხული თანხები, რომელიც არ წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვალდებულების ზრდას).

2021 წლის ბიუჯეტის გადასახდელები
საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 258,916.0 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 188,430.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 73%-ია. მათ შორის:
ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 206,666.3 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 153,031.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 74% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 81.2%-ია.
არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 44,242.1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 27,673.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 63% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 14.7%-ია.
ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 8,007.6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 7,726.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 4.1%-ია.

სარეზერვო ფონდიდან საანგარიში პერიოდში გამოყოფილი 2,552.7 ათასი ლარიდან გადარიცხულია 2,053.2 ათასი ლარი.
წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის 2021 წლის 3 თვეში გამოყოფილი იქნა 500.0 ათასი ლარი, ხოლო გამოყოფილი ასიგნებების ათვისებამ შეადგინა 126.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 25.4%-ია.
სესხების მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 9,348.4 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (10,365.9 ათასი ლარი) 90.2%-ია. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 1,622.1 ათასი ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის - 7,726.2 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:
სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 39,561.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (68,567.3 ათასი ლარი) 57.6%-ია;

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 24,241.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (26,867.3 ათასი ლარი) 90.2%-ია;

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 25,499.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (28,286.4 ათასი ლარი) 90.2%-ია;

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 266.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (744.9 ათასი ლარი) 35.8%-ია;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 2,374.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (2,519.8 ათასი ლარი) 94.2%-ია;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 25,168.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (36,974.4 ათასი ლარი) 68.1%-ია;

განათლება - 38,967.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (47,007.0 ათასი ლარი) 82.9%-ია;

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 5,801.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (13,330.6 ათასი ლარი) 43.5%-ია;

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 683.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (1,943.5 ათასი ლარი) 35.2%-ია;

ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 25,867.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (32,585.0 ათასი ლარი) 79.4%-ია.

კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს ქალაქ თბილისის2021 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების ანგარიში.

მოისმინეს: „ქ. თბილისში, სომხეთის ჩიხი N10-ის მიმდებარედ, ნაკვეთი 39/002, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.17.07.039.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1 827 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასათვის“ (ს/ნ: 245599990) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით 2020 წლის 9 დეკემბრიდან 2021 წლის 25 იანვრის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში,სომხეთის ჩიხი N10-ის მიმდებარედ, ნაკვეთი 39/002 (ს/კ: N N01.17.07.039.002 - ფართობი: 1 827 კვ.მ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა.(მოთხოვნილი განაშენიანების მინიმალური ფართობი კ2=არაუმეტეს 2.5-ის გათვალისწინებით - 450 კვ.მ) და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „არომა“ (ს/კ: 245599990),რომელმაც წარმოადგინა ყველაზე მაღალი შეთავაზება (1 000 კვ.მ-ის ოდენობით) და უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია **100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით**. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინტერესთა გამოხატვის პირობების შესაბამისად, სააგენტომ განახორციელა კოოპერატივების წევრთა დაკმაყოფილებისათვის საჭირო პროცედურები და დაიწყო პროექტის ფარგლებში დასაკმაყოფილებლ პირთა სიის ფორმირება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების დანართებში მითითებული კოოპერატივის წევრების სიის ფორმირება განხორციელდა სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით. წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა კოოპერატივის იმ წევრების დაკმაყოფილება (**13 პირი**), რომელთაც, სიის ფორმირების ეტაპისათვის, სააგენტოში წარდგენილი ჰქონდათ სრულყოფილი დოკუმენტაცია და სხვებთან შედარებით დაბალი სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი დოკუმენტი.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მიუხედავად დაბალი სარეიტინგო ქულისა, პროექტში არ არიან გათვალისწინებულნი ყოფილი N502 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრები, ვინაიდან, აღნიშნულ კოოპერატივთან მიმართებით, დადგინდა შემდეგი გარემოებები: N502 კოოპერატივის უფლებამონაცვლის, ამხანაგობა „ბაგები 502“-ის მიერ სს „სამშენებლო კომპანია „თბილისთან“ ერთად, დაფუძნდა ამხანაგობა „ბაგები-504“. აღსანიშნავია, რომ N502 კოოპერატივს, კოოპერატიული სახლის ასაშენებლად, მიწის ნაკვეთი გამოყოფილი ჰქონდა ყიფშიძის ქუჩაზე, ავტოგასამართი სადგურის პირდაპირ. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N01.14.14.003.122) საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით, საჯარო რეესტრში განცხადება წარადგინა ამხანაგობა „ბაგები-504“-მა, რომლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მას, როგორც N502 კოოპერატივის უფლებამონაცვლეს საკუთრების უფლებით დაურეგისტრირდა აღნიშნული კოოპერატივისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი. შესაბამისად, ცალსახაა, რომ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი ამხანაგობა „ბაგები-504“-ის საკუთრებად დარეგისტრირდა კოოპერატიული ბინათმშენებლობიდან გამომდინარე არსებული სამართალურთიერთობის ფარგლებში. რაც უნდა უნდა განვიხილოთ N502 კოოპერატივის მიმართ სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელ გარემოებად.

განკარგულების დანართებით განსაზღვრული სიის ფორმირებისას, ასევე, გათვალისწინებულ იქნა კოოპერატივების წევრთა მიერ მისაღები ფართების ოდენობა, რაც არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებაა, იმდენად, რამდენადაც ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული კონკრეტული პროექტის ფარგლებში, შესაძლებელია დაზარალებულ პირთათვის ჯამში მხოლოდ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ შემოთავაზებული ოდენობის ფართის გადაცემა. შესაბამისად, სიის ფორმირებისას სააგენტო შეზღუდულია კონკრეტული ოდენობის ფართით, ვინაიდან, კოოპერატივის წევრების მიერ მისაღები ფართი ჯამურად უნდა შეადგენდეს ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული ფართის ოდენობას.

ირაკლი თავართქილაძემ ასევე აღნიშნა, რომ ამ განკარგულების დანართებით გათვალისწინებულმა კოოპერატივის წევრებმა სააგენტოში წარდგენილი განცხადებების საფუძველზე, დაადასტურეს, რომ თანახმანი არიან, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ, საკუთრებაში მიიღონ N01.17.07.039.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან ამ განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული შესაბამისი წილი, მოგვიანებით კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში კონკრეტული ფართის უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა თამარ მეფე, ჩიხი II, კორპუსი 10-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.052.057) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა თამარ მეფე, ჩიხი II, კორპუსი 10-ში, მდებარე 151.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ისა და N2-ი (საკადასტრო კოდი: N01.20.01.052.057) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაeცემა მოქალაქე ავთანდილ მჭედლიძეს, რომელიც 1990 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე და არის 5 სულიანი ოჯახი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი Ш, კორპუსი 5-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.006.05.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი Ш, კორპუსი 5-ში, მე-9 სართულზე, შენობა N5-ში მდებარე 64.43 კვ.მ უძრავი ქონებa (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.006.05.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე დავით ღვანიძეს, რომელიც 1990 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:"ქალაქ თბილისში, ქუჩა ყვარლის, N104; N106; N108 (უბანი N6)-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.022.005.03.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ თბილისში, ქუჩა ყვარლის, N104; N106; N108 (უბანი N6)-ში, პირველ სართულზე, შენობა N3-N16-ი მდებარე 50.46 კვ.მ. უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.08.022.005.03.500) პირდაპირი განკარგვის

ფორმით, პრივატიზების გზით,საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მარიეტა სვანაძეს .მოქალაქ 27 წელია ოჯახთან ერთად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.
მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, ქუჩა მინდელი, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.075.01.533) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ
მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ თბილისში, ქუჩა მინდელი, N5-ში, მეხუთე სართულზე მდებარე 81.52 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.075.01.533) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ვახტანგ ჯომარდიძეს, რომელიც ცხოვრობდა იოსებიძის ქ.#24-ში და 2002 წლის მიწისძვრის შედეგად , როგორც დაზარალებული შეასახლეს აღნიშნულ მისამართზე.
მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი, ვასაძის ქუჩაზე არსებული 44 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.11.12.018.107) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კა-ემ-სისთვის" (ს/ნ:405423590) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.
მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე

შპს „კა-ემ-სი" (ს/ნ:405423590) ითხოვს ქ. თბილისში, გლდანის მასივი, ვასაძის ქუჩაზე არსებული 44 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.11.12.018.107) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემას, ღია კაფის მოწყობის მიზნით. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული იურიდიულ პირის სარგებლობაშია ქალაქ თბილისში, აკაკი ვასაძის ქუჩა N16ა-ს მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: 01.11.12.018.216) იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, 5 (ხუთი) წლის ვადით.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს. სააგენტოს წერილობითი პოზიციის თანახმად, მაგიდების, სკამების, საყვავილეების და ქოლგების განთავსება არ ექცევა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255-ე დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობებით განსაზღვრულ იმ ობიექტთა/სამშენებლო სამუშაოთა ნუსხაში, რომელთა მშენებლობა, მონტაჟი/დემონტაჟისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიცემა მშენებლობის ნებართვა ან წერილობითი დასტური. შესაბამისად, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს აღნიშნული საკითხი. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 10 მარტის N001557621 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 44 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.11.12.018.107) წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2021 წლის 9 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 7 920 (შვიდი ათას ცხრაას ოცი) ლარით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, განიხილება, ქ. თბილისში, გლდანის მასივი, ვასაძის ქუჩაზე არსებული 44 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.11.12.018.107) პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „კა-ემ-სისთვის" იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი 5 წლის ვადით, ხოლო საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება 7 920 ლარი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, თენგიზ სტურუას ქუჩა 36-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.006.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე

„ქალაქ თბილისში, თენგიზ სტურუას ქუჩა N36-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.006.012) მდებარე უძრავი ქონება, საერთო ჯამში 92,30 კვმ ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა სამ ოჯახს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 11 მარტის პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-297-15-17432 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 26 თებერვლის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი NE-297-15-17432 ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება) საფუძველზე, აუქციონში გამარჯვებულ პირად გამოცხადდა გიორგი დათიაშვილი და მასთან გაფორმდა პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება . ხელშეკრულების თანახმად, აუქციონში გამარჯვებულ პირს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ისანში, ვაზისუბანი III მ/რ, კვარტალი მე-2, N15 კორპუსის მიმდებარედ არსებული 388 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.17.07.009.016). ქონების საპრივატიზებო ღირებულებამ შეადგინა 34,402 ლარი. ხელშეკრულების ერთერთი პუნქტის თანახმად, საპრივატიზებო ობიექტი განიკარგა „საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის განთავსების პირობით"

დღეის მდგომარეობით, საპრივატიზებო ობიექტი გაერთიანებულია მომიჯნავე მიწის ნაკვეთებთან, N01.17.07.009.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთში, შესაბამისად, საპრივატიზებო ობიექტზე გასხვისებისას არსებული შეზღუდვა ასახულია N01.17.07.009.021 საკადასტრო ერთეულის საჯარო რეესტრიდან ამონაწერში. ამასთან, მითითებული მიწის ნაკვეთის ამჟამინდელ მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „მექანი" (ს/ნ: 416305830)

მესაკუთრემ მიმართა სააგენტოს და მოითხოვა საპრივატიზებო ობიექტზე არსებული შეზღუდვის გაუქმება.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, N01.17.07.009.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციული ორგანოს აღმჭურველი აქტის საფუძველზე, მომატებული აქვს კ-1 და კ-2 კოეფიციენტები, კომპანიასა და სააგენტოს შორის 2020 წლის 14 აპრილს გაფორმებულია „უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება", რომლის თანახმადაც, N01.17.07.009.021 საკადასტრო ერთეულის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციანეტის გადამეტების გამო, კომპანია ვალდებულია ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადასცეს ნამატი ფართის 10%, კერძოდ, 247.14 კვ.მ საცხოვრებელი ფართი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე ეტაპზე, N01.17.07.009.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებულია/დამტკიცებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (გაპი) მრავალბინიანი საცხოვრებელი დანიშნულების შენობის განთავსების მიზნით, ამასთან, წარდგენილი არქიტექტურული პროექტის თანახმად და განმცხადებლის მითითებით, კომპანიის მიერ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე უნდა მოეწყოს სკვერი, თუმცა არა იმ ფართობით რაც ეს გათვალისწინებული იყო ხელშკრულების შესაბამისად (388კვ.მ). ასევე საგულისხმოა, რომ წარდგენილი პროექტის თანახმად, შენობის ნაწილზე გათვალისწინებულია კომერციული დანიშნულების ფართის მოწყობა. შესაბამისად, მყიდველის მიერ ვერ ხორციელდება პრივატიზებული ქონების სრულად საზოგადოებრივი ფუნქციით ათვისება.

კომპანიამ სააგენტოში წარმოადგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ქსპერტიზის დასკვნები, რომლის თანახმად, დგინდება, რომ N01.17.07.009.016 საკადასტრო ერთეულის სრულ საპრივატიზებო საფასურსა (34,402 ლარი) და აუქციონის დროისათვის ამავე მიწის ნაკვეთის ,,საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის განთავსების პირობის'' გარეშე ღირებულებებს შორის სხვაობა, 2020 წლის 26 ნოემბრის მდგომარეობით შეადგენს 51,465 (ორმოცდათერთმეტი ათას ოთხას სამოცდახუთი) ლარს.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების მისაღებად წარმოედგინა საკითხი 2016 წლის 11 მარტის პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-297-15-17432 ხელშეკრულების „ბ" პუნქტით განსაზღვრული პირობის გაუქმების თაობაზე, იმ პირობით, რომ შპს „მექანი" მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადაიხდის ფასთა შორის სხვაობას 51,465 ლარის ოდენობით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 1333 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.01.19.422) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ 2020-2021 წელს მოქალაქე არმაზ ასლამაზაშვილმა განცხადებებით მომართა როგრც სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და ითხოვა თავის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, წყნეთის ტერიტორიაზე მდებარე 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.20.01.012.068) გაცვლით ფორმით პრივატიზება - ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 1333 კვ.მ მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი: N81.01.19.422) . განმცხადებლის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 , ხოლო ახალი გენერალური გეგმით უძრავ ქონებას მიენიჭა სატყეო ზონის სტატუსი, რამაც ფაქტობრივად გამორიცხა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობა. მიწის ნაკვეთის ღირებულებებს შორის სხვაობა განისაზღვრა 10,800 ლარი, არმაზ ასლამაზაშვილმა თანხმობა განაცხადა,სხვაობის გადახდაზე, რაც უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში.

თანხმობისათვის წარმოდგენილია ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 1333 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.01.19.422) გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით 10,800 (ათი ათას რვაასი) ლარის ოდენობით, პრივატიზება, არმაზი ასლამაზაშვილის (პ/ნ: 15001011439) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, წყნეთის

ტერიტორიაზე მდებარე 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.20.01.012.068) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ,

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **დავით უთმელიძე**